

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა ავსტრიულ და ქართულ საკორპორაციო სამართალში

დავით დოლიძე

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
მონვეული სპეციალისტი.*

საკვანძო სიტყვები:

საკორპორაციო, სამეთვალყურეო, დამოუკიდებლობა

კორპორაციული მართვის ფარგლებში ხორციელდება კომპანიის მართვა და მმართველ ორგანოთა მონიტორინგი.¹ ამდენად, კორპორაციული მართვის ცნებით განსაზღვრული კონტროლის ასპექტი გულისხმობს კორპორაციათა მმართველ ორგანოთა ხელმძღვანელობითი საქმიანობის ზედამხედველობას, რომელსაც სწორედ სამეთვალყურეო ორგანო ახორციელებს.

ამკვიდრებს რა კორპორაციული მართვის ორსაფეხურიან სისტემას, „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ ავსტრიის კანონით, სააქციო საზოგადოების მმართველობაზე კონტროლს

¹ დოლიძე დ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი ქართულ სააქციო საზოგადოებაში. მართლმსაჯულება და კანონი, 2(3), გვ. 138.

სამეთვალყურეო საბჭო წარმართავს.² აქ ამ ორგანოს ძირითად ფუნქციად გამგეობის (დირექტორატის) საქმიანობის კონტროლია დაწესებული.³ ამდენად, ავსტრიის საკორპორაციო სამართალი სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო ორგანოს სტატუსს სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია გერმანულ საკორპორაციო სამართალშიც გამგეობის საქმიანობის კონტროლსა და ზედამხედველობაში გამოიხატება. ამდენად, როგორც ვხედავთ, ავსტრიული კორპორაციული სამართალი ამ კუთხით გერმანული ანალოგის მსგავსია.

კორპორაციული მართვის სფეროში ავსტრიის ძირითადი ნორმატიული აქტი „სააქციო საზოგადოებათა შესახებ ავსტრიის კანონი“ **Aktiengesetz (Österreich)** 1965. აქ ასევე მოქმედებს „კორპორაციული მართვის ავსტრიული კოდექსი“. დოკუმენტის შესავალი ნაწილის თანახმად „კოდექსის ძირითად მიზანს კორპორაციული მართვის სფეროში თანამედროვე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დანერგვა წარმოადგენს. ასევე კოდექსი მოქმედებს ავსტრიის საფონდო ბირჟაზე განწესებული ყველა კომპანიის, მათ შორის ავსტრიაში რეგისტრირებული ევროპის სააქციო საზოგადოებების მიმართაც. ავსტრიული კოდექსი განმარტავს შემდეგი სახის წესებს:

- ა) სავალდებულო სამართლებრივი წესები (L);
- ბ) ე.წ. „გათვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედი წესები (C);
- გ) რეკომენდაციები (R).

აქვე აღსანიშნავია, რომ იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც არ არიან ავსტრიის საფონდო ბირჟის წევრები, სავალდებულო წესები ე.წ. „გათვალისწინე ან ახსენი“ წესების კატეგორიაში განიხილება.

ავსტრიაში აშკარაა ე.წ. „სამართლებრივი

ბმა“ კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. მაგალითად, ავსტრიის „კომერციული კოდექსის“ (UGB) **243b** პარაგრაფით კომპანიებს ევალებათ, სისტემატურად გამოაქვეყნონ კორპორაციული მართვის ანგარიშები, რომლებშიც ისინი ასახავენ კორპორაციული მართვის ავსტრიული კოდექსის მოწესრიგებათა გაზიარებას, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ახსნიან შეუსაბამობის მიზეზებს. ავსტრიის „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ კანონის მნ-ე პარაგრაფიც იძლევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისადმი წაყენებულ პერსონალურ მოთხოვნებს.

საინტერესოა საკითხი, თუ როგორ უდგება ავსტრიული დოკუმენტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ აქ ცალკეა გამოყოფილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის საკითხები და მსგავსი კონფლიქტების აცილება სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობის სტანდარტის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევა.⁴

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 44-ე მუხლი სავალდებულო ხასიათის სამართლებრივი ნორმაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს ვერც ერთი წევრი იმავდროულად ვერიქნება საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს - გამგეობის წევრი. კონკრეტულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ საკუთარი პირადი ინტერესებით, ასევე იმ პიროვნების ან საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, რომელთანაც გააჩნიათ მჭიდრო კავშირები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ინტერესთა კონფლიქტით მიღებული გადაწყვეტილებით ზიანი მოუტანა საკუთარ კომპანიას, იგი სამსახურიდან გათავისუფლდება.

კორპორაციული მართვის კოდექსის 46-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საკუთარ თავს ინტერესთა კონფლიქტში გამოიტყრს, ვალდებულია ამის შესახებ

2 Aktiengesetz Österreich (geändert und veränderungen), Wien, 1965. §95(1).

[https://www.jusline.at/Aktiengesetz_\(AktG\).html](https://www.jusline.at/Aktiengesetz_(AktG).html)

3 დოლიძე დ., 2015. კორპორაციული მართვის ზოგიერთი აქტუალური საკითხი ქართულ სააქციო საზოგადოებაში. მართლმსაჯულება და კანონი, 2(3), გვ. 140.

4 Austrian Code on Corporate Governance (amended and changes), Vienna, 2015. Chapter V. <http://www.corporate-governance.at>

დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. ხოლო თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც გამოავლენს, რომ იგი ინტერესთა კონფლიქტის წინაშე დგას, აღნიშნულს საკუთარ მოადგილეს ატყობინებს.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 53-ე მუხლის მიხედვით „საერთო კრების მიერ არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა უნდა იყოს დამოუკიდებელი თავად კომპანიისა და მისი მმართველი მენეჯმენტისაგან. თავის მხრივ, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ითვლება დამოუკიდებლად, თუ მას არ გააჩნია ნებისმიერი სახის ისეთი ბიზნეს - საქმიანი ან პერსონალური კავშირები კომპანიასთან, ან მისი მმართველობის ორგანოსთან, რომელიც წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტებს და ზეგავლენას ახდენს წევრის საქმიანობაზე. აღნიშნული მოწესრიგების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განსაზღვროს საკუთარ წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები და გამოაქვეყნოს ისინი კორპორაციული მართვის ანგარიშში.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის დანართი 1-ით (Annex 1) მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმთა განსაზღვრის სახელმძღვანელო პრინციპები. კერძოდ:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა მსახურობდეს საზოგადოების ან მისი შვილობილი საწარმოს მმართველ ორგანოში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ უნდა ჰქონდეს ბიზნეს-საქმიანი კავშირები კომპანიასთან, მის შვილობილ საწარმოსთან. ეს ასევე ეხება იმ კომპანიებთან ურთიერთობას, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინტერესები;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა მოქმედებდეს, როგორც კომპანიის აუდიტორი, არ უნდა წარმოადგენდეს სააუდიტორო კომპანიის აქციონერს

- ან არ უნდა იყოს მათი თანამშრომელი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სხვა იმ საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელშიც გამგეობის წევრი ამავედროულად მიიჩნევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრად;
- დაუშვებელია პირი იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ეს მოწესრიგება არ ეხებათ სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც კომპანიაში პირდაპირი ინვესტირების შედეგად არიან აქციონერები, ასევე პირებს, რომლებიც წარმოადგენენ ასეთ აქციონერთა ინტერესებს;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული (იგულისხმობა პირდაპირი შთამომავლობა, მეუღლეობა, თანაცხოვრება, ბიძები, დეიდები, დები, ძმისწულები, დისწულები) გამგეობის წევრთან.

კოდექსის 54-ე მუხლით კომპანიებში, რომელთა აქციათა 20%-ზე მეტი თავისუფალ მიმოქცევაშია, სამეთვალყურეო საბჭოში არანაკლებ ერთი წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი. ხოლო სამეთვალყურეო ორგანოს არანაკლებ ორი დამოუკიდებელი წევრი უნდა ჰყავდეთ იმ საზოგადოებებს, რომელთა აქციათა 50%-ზე მეტიც არის განთავსებული თავისუფალ მიმოქცევაში.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლები ე.წ. „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის საფუძველზე მოქმედი წესებია. კომპანიები კორპორაციული მართვის ანგარიშებში ასახვენ აღნიშნულ ნორმებთან შესაბამისობა- შეუსაბამობის მიზეზებს.

ავსტრიის კორპორაციული მართვის კოდექსის 55-ე მუხლი სავალდებულო ხასიათის ნორმაა. აღნიშნული მუხლის მიხედვით „ავსტრიის საფონდო ბირჟაზე განთავსებული კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ გახდება პირი, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იყო ამავე საზოგადოების მმართველი მენეჯმენტის წევრი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშვნა ხორციელდება

კომპანიაში ხმის უფლების მქონე აქციათა 25%-ზე მეტის მფლობელ აქციონერთა შუამდგომლობით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე მუხლის თანახმად, არა უმეტეს, ერთ პირს აქვს უფლება, გახდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, რომლის მიმართაც ორწლიანი პერიოდი არ გასულა. ასევე აღსანიშნავია, რომ პირი, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო მენეჯმენტის წევრი, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

როგორც ვხედავთ, ავსტრიული კორპორაციული მართვის კოდექსი, მართალია, უშვებს, თუმცა ამასთანავე საკმაოდ მკაცრად უდგება კომპანიის ყოფილ მმართველთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად დანიშვნის საკითხს. აქ აუცილებელია პირის გამგეობიდან წასვლის შემდეგ ორწლიანი პერიოდის გასვლა, რათა იგი დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. ავსტრიული კოდექსით, ამ საკითხის მომწესრიგებელი ნორმები სავალდებულო ხასიათის წესებად არის აღიარებული. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გამგეობის გადამდგარ წევრთა სამეთვალყურეო საბჭოში დასაქმებას ავსტრიული კორპორაციული სამართალი საკმაოდ სერიოზულად უდგება.

ავსტრიულ კორპორაციულ სამართალზე საუბრისას ბოლოს უნდა ითქვას, რომ ავსტრიულ კომპანიათაგან კორპორაციული მართვის კოდექსში მოცემულ პრინციპთა გაზიარების საკითხები ანგარიშების სახით მოცემულია შემდეგ უმსხვილეს ავსტრიულ სააქციო საზოგადოებათა ოფიციალურ ვებ - გვერდებზე: სს „რაიფისენ ბანკი“;⁵ სს „ვინერბერგერი“;⁶ სს „ლენცინგი“.⁷

მართალია, მსგავსად ავსტრიული მოდელი-სა, სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი ფუნქცია ქართულ საკორპორაციო სამართალშიც დირექტორთა საქმიანობის კონტროლია.⁸ თუმცა, განსხვავებით იმავე ავსტრიისაგან,

საკითხი, თუ რამდენად უზრუნველყოფს კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედი ქართული ნორმატიული ბაზა აღნიშნული კონტროლის ეფექტურობას, ცალკე განხილვის საგანია.*

საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის საკითხი ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა გაკრიტიკებული, აღინიშნა რა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავდა რაიმე ნორმას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა.⁹ მიუხედავად ამისა, ქართულმა კორპორაციულმა სამართალმა ამ კუთხით განვითარება მაინც ვერ პოვა. არადა აუცილებელია, რომ საკორპორაციო სამართალი იმპერატიულად აწესებდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის გარანტიებს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იყოს კორპორაციის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის მიუკერძოებელი და კვალიფიციური კონტროლი.¹⁰

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არათუ მხოლოდ არ გვთავაზობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმებს, არამედ, უფრო მეტიც, ქართული კანონი განსხვავებით იმავე ავსტრიული მოდელისაგან, საერთოდ არაფერს ამბობს იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ. ასევე, ამ კუთხით ქართული კორპორაციული სამართლის ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად

5 <http://investor.rbinternational.com/index.php?id=673&L=1>
 6 <http://www.wienerberger.com/investor-relations/corporate-governance/corporate-governance-report>
 7 <http://www.lenzing.com/en/investors/downloadcenter/financial-reports.html>
 8 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (ცვლილებებითა და დამატებებით), თბილისი, 1994. 55-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. www.matsne.gov.ge

* იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც სააქციო საზოგადოების დირექტორი, შესაძლოა, ამავდროულად იყოს ამავე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამ დროს უთუოდ იზადება კითხვები მსგავსი სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან დირექტორთა მიმართ განსახორციელებელი კონტროლის ობიექტურობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით.

9 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი გვ. 173.
 10 ჭანტურია ლ., 2006. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. გამომცემლობა სამართალი, თბილისი გვ. 175.

დირექტორთა დანიშვნის წესი.¹¹ დირექტორი, მისი პირადი კავშირების გათვალისწინებით, ვერ იქნება დამოუკიდებელი წევრი.

2009 წელს საქართველოს ბანკების ასოციაციებმა მიიღეს „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის“. დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. მისი ძირითადი მიზანი კომერციულ ბანკებში კორპორაციული მართვის სფეროში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებაა.¹² კოდექსით ბანკებს გაეწევათ ყოველწლიურად, ე.წ. „კორპორაციული მართვის ანგარიშის“ წარდგენის რეკომენდაცია, კოდექსის მოთხოვნათა გაზიარების ან მათთან შეუსაბამობის მიზეზების ახსნის შესახებ.¹³ ასეთ მიდგომას, ე.წ., „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპი ეწოდება.¹⁴ კარგი იქნება, თუ დაინერგება პრაქტიკა და მსგავსი ანგარიშები ყოველწლიურად გამოქვეყნდება ბანკების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

კოდექსი აღნიშნავს, რომ „სამეთვალყურეო საბჭოში წარმოდგენილ უნდა იქნან დამოუკიდებელი წევრები და დაიცვან ადეკვატური ბალანსი სამეთვალყურეო საბჭოში აქციონერთა წარმომადგენლებსა და საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს შორის, რათა თავიდან აიცილონ კონკრეტული წევრის ან წევრთა მცირე ჯგუფის, ასევე რომელიმე აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის მიერ ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას არაადეკვატურად დიდი ზეგავლენის მოხდენა“.¹⁵

განსხვავებით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისაგან, აღნიშნულ კოდექსში მოცემულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები. კერძოდ,

11 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (ცვლილებებითა და დამატებებით), თბილისი, 1994. 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი. www.matsne.gov.ge
12 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. გვ. 2.
13 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. გვ. 5.
14 Hopt K.J., Leyens P.C., 2004. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy. Law Working Paper 18(04), p. 4.
15 კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, თბილისი, 2009. მე-4 მუხლის „ა“ ნაწილის მე-3 ქვეპუნქტი.

მე-2 მუხლის (ე) ნაწილის მიხედვით, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ის ან მისი პირველი, ან მეორე რიგის მემკვიდრე:

- 1) ბოლო 5 წლის მანძილზე იყო ბანკის, მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციის დირექტორატის წევრი, ან ეკავა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა;
- 2) იღებს ბანკისაგან ან მისი შვილობილი, დედობილი ან დობილი ორგანიზაციისაგან ანაზღაურებას ნებისმიერი ფორმით, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრობისთვის დადგენილი ანაზღაურებისა და აქციონერების კუთვნილი დივიდენდისა;
- 3) გააჩნია მნიშვნელოვანი პირადი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;
- 4) არის იმ იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელი, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი კომერციული ურთიერთობები ბანკთან;
- 5) არის დირექტორი იმ კომპანიისა, რომელშიც ბანკის ერთ-ერთი დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს წევრია;
- 6) ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი;
- 7) არის დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან წარმომადგენელი კომპანიისა, რომელსაც ეკუთვნის ბანკის კაპიტალის 5 პროცენტი ან მეტი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა კორპორაციული მართვის ქართული კოდექსის მე-4 მუხლის (ა) ნაწილის მე-6 ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი ბანკის კორპორაციულ მართვაში და პასუხისმგებლობა, რომელიც მას ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრობით. ამისათვის საჭიროა, რომ თითოეულმა წევრმა:

- ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს ფიციური ვალდებულებები;
- ბ) თავი აარიდოს გადაწყვეტილებების მიღებას საკითხებზე, რომლებიც შეიცავს ინტერესთა კონფლიქტსა და გარიგებებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან;

გ) დაუთმოს საკმარისი დრო და მონდომება ვალდებულებების შესრულებას;

დ) მაქსიმალურად აარიდოს თავი ბანკის ყოველდღიურ მართვაში ჩარევას.

ამდენად, აღნიშნული მუხლი აშკარად შეიცავს დებულებებს, რომელთა კეთილ-სინდისიერად დაცვაც ნამდვილად აამაღლებს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის დამოუკიდებლობის სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. მაშინ, როცა მოცემულ კვლევაში ნათლად ჩანს, თუ რამხელა ყურადღება ეთმობა აღნიშნულ საკითხს იმავე ავსტრიული კორპორაციული მართვის სისტემაში. მართალია, ეს საკითხი მეტ-ნაკლებად მოცემულია კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის ქართულ კოდექსში და საბოლოო ჯამში ვხედავთ კიდევ, რომ აღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ ყურადღებას ამახვილებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობაზე და ცდილობს, კომერციულ ბანკებს შესთავაზოს მოწესრიგება, რომელიც მაკონტროლებელთა დამოუკიდებლობის დანერგვისა და მისი ხარისხის ამაღლებისკენაა მიმართული. თუმცა, აღნიშნულ გზაზე მხოლოდ კოდექსის მცდელობა არ არის საკმარისი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს აქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და იგი მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შეზღუდული წრის (ბანკების) მიმართ მოქმედებს, კოდექსით განსაზღვრული მოწესრიგება აბსოლუტური ხაიათის მატარებელი ვერ იქნება. ქართულ საკანონმდებლო სინამდვილეში არავითარი საკანონმდებლო ბმა არ არსებობს ამ დოკუმენტსა და ნორმატიულ კანონმდებლობას შორის. არადა მსგავსი კოდექსების რეალური მოქმედებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, აშკარა იყოს ერთგვარი სამართლებრივი კავშირი კორპორაციული მართვის სფეროში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის. როგორც ეს, მაგალითად, ავსტრიაშია, სადაც ავსტრიის კომერციული კოდექსი შეიცავს დებულებებს ავსტრიული კორპორაციული მართვის კოდექსის მოწესრიგებათა პრაქტიკაში დანერგვასთან

დაკავშირებით.¹⁶ ასეთი მოწესრიგებით კომერციული კოდექსი კორპორაციული მართვის კოდექსის დებულებათა გაზიარების სადარაჯობე დგას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია, ე.წ., „გაითვალისწინე ან ახსენი“ (Comply or Explain) პრინციპის არა სარეკომენდაციო, არამედ საკანონმდებლო წესად დანერგვა. კორპორაციული მართვის ანგარიშების ყოველწლიურად წარდგენა კომპანიათა ვალდებულებად უნდა იქცეს. კორპორაციული მართვის ქართული მოდელი აგრეთვე საჭიროებს სამეთვალყურეო ორგანოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტების საკითხების მომწესრიგებელი წესების შემოღებას.

დღეისათვის საქართველოში დღის წესრიგში დგას სამეწარმეო სამართლის რეფორმა. უფრო მეტიც, აღნიშნული თვალსაზრისით ქვეყნის იუსტიციის სამინისტროში უკვე აქტიური სამუშაოებიც კი მიმდინარეობს.¹⁷ გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელ წლებში საქართველო აქტიურად ცდილობს ევროკავშირთან დაახლოებას, კარგი იქნება, რომ ქართული საკორპორაციო სამართლის რეფორმის გზაზე გაიზიარონ წამყვან ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომები და საკანონმდებლო დონეზე დაინერგოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობის კრიტერიუმები.

მართალია, მსოფლიოში მოქმედი არც ერთი კორპორაციული მართვის სისტემა არ არის სრულყოფილი და ამ მხრივ გამონაკლისს არც ავსტრია წარმოადგენს. თუმცა, ეს როდი აკნინებს მათს როლსა და მნიშვნელობას. კორპორაციული მართვის ავსტრიულ მოდელს, განსხვავებით ქართული ანალოგისაგან, საკმაოდ ისტორია გააჩნია-ათწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა, იხვეწებოდა და ეს პროცესი დღესაც გრძელდება. შესამაბისად, უნდა ითქვას, რომ ნაშრომში მოყვანილ პრობლემათა გადაჭრის გზაზე ავსტრიულ გამოცდილებათა გეგმაზომიერი და მიზანმიმართული გაზიარება ქართული კორპორაციული მართვის დონეს უთუოდ აამაღლებს.

16 Handelsgesetzbuch Österreich (geändert und veränderungen), Wien, 1897. §243b. <http://www.ris.bka.gv.at>

17 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი #5211. 02/ივლისი/2015 წელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული ი., 2013. სააქციო სამართლის საფუძვლები II ტომი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
2. ბურდული ი., 2010. სააქციო სამართლის საფუძვლები I ტომი. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი.
3. ბრეგვაძე ლ., ზოიძე ბ., ლილუაშვილი გ., ბურდული ი., ლაზარაშვილი ლ., ქირია გ. და ჭანტურია ლ., 2009. თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

INDEPENDENCE OF THE SUPERVISORY BOARD MEMBERS OF THE JOINT STOCK COMPANY IN THE AUSTRIAN AND GEORGIAN CORPORATE LAW

David Dolidze

PhD student, Georgian American University (GAU), Gori State Teaching University. Invited specialist

RESUME

KEY WORDS:

Corporate, supervisory, independence

The article overviews issues of independence of the Members of Supervisory Board of Joint Stock Company in the view point of corporative management. Using the method of comparative legal study, based on Austrian and Georgian systems, the actuality and features of membership of independent members in supervisory board is highlighted. On the background of the conducted study, we may conclude that model of the existing Georgian corporative management is facing some problems with regard to this issue. And this is respectively reflected in the situation where we do not face legislative arrangement, which defines standards of independence of the members by the regulations, adopts provisions needed for actual provision of such independence, while, these are the issues which need to be regulated in order to form an effective model of corporative management of a joint stock company. And just for this purpose, it is important that the effective bylaws of Georgia in the field

of corporative management need to directly involve issues related to the independence of the supervisory board members of Joint Stock Company. It is not enough to regulate the issue only by the corporative management codes having a recommendatory nature, moreover in the situation where there is no legal relation

between the codes and mandatory bylaws. In the process of resolving the abovementioned problems, it is important to share experience of developed countries, including Austria, and do it in a planned and targeted manner. This surely will upgrade the level of the Georgian corporative management.

NOTES:

1. Dolidze D., 2015. Some Actual Issues of Corporate Management at a Georgian JSC. Justice and Law, 2(3), p. 138. (GEO)
2. Austrian Stock Corporation Act (including amendments and changes), Vienna, 1965. §95(1). <https://www.jusline.at/> (DEUTSCH)
3. Dolidze D., 2015. Some Actual Issues of Corporate Management at a Georgian JSC. Justice and Law, 2(3), p. 140. (GEO)
4. Austrian Code on Corporate Governance (including amendments and changes), Vienna, 2015. Chapter V. <http://www.corporate-governance.at> (ENG)
5. <http://investor.rbinternational.com/index.php?id=673&L=1> (ENG)
6. <http://www.wienerberger.com/investor-relations/corporate-governance/corporate-governance-report> (ENG)
7. <http://www.lenzing.com/en/investors/downloadcenter/financial-reports.html> (ENG)
8. Law of Georgia on Entrepreneurs (including amendments and changes), Tbilisi, 1994. Article 55, Paragraph 7, Section, „ა“. www.matsne.gov.ge (GEO)
9. Chanturia L., 2006. Corporate Governance and Liability of Directors in Corporation Law. Publisher Samartali, Tbilisi p. 173. (GEO)
10. Chanturia L., 2006. Corporate Governance and Liability of Directors in Corporation Law. Publisher Samartali, Tbilisi p. 175. (GEO)
11. Law of Georgia on Entrepreneurs (including amendments and changes), Tbilisi, 1994. Article 55, Paragraph 2. www.matsne.gov.ge (GEO)
12. Corporate Governance Code for Commercial Banks, Tbilisi, 2009. p.2. (GEO)
13. Corporate Governance Code for Commercial Banks, Tbilisi, 2009. p.5. (GEO)
14. Hopt K., Leyens P., 2004. Board Models in Europe. Recent Developments of Internal Corporate Governance Structures in Germany, the United Kingdom, France, and Italy. Law Working Paper 18(04), p. 4. (ENG)

15. Corporate Governance Code for Commercial Banks, Tbilisi, 2009. Article 4, Part “a” Section 3. (GEO)
16. Austrian Commercial Code (amended an changes), Vienna, 1897. § 243b. <http://www.ris.bka.gv.at> (DEUTSCH)
17. Ministry of Justice of Georgia. letter # 5211. 02 / July / 2015. (GEO)

BIBLIOGRAPHY:

1. Burduli I., 2010. Foundations of Corporate Law I Volume. Publisher Meridiani, Tbilisi. (GEO)
2. Burduli I., 2013. Foundations of Corporate Law II Volume. Publisher Meridiani, Tbilisi. (GEO)
3. Bregvadze L., Zoidze B., Liluashvili G., Burduli I., Lazarashvili L., Kiria G. and Chanturia L., 2009. Theoretical and practical issues of the modern Corporate Law.. Publisher Meridiani, Tbilisi. (GEO)